



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 3
18/01/2021

3-06-4-202101181640



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.23.004) ფართის ნაწილის, შენობის მეორე სართულზე მდებარე ოთახის-საერთო ფართი 60 კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული 60 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო „უზუფრუქტი“) 19-ე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გოჩა ენუქიძის ბიუროსთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-222938622) გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.23.004) ფართის ნაწილი, შენობის მეორე სართულზე მდებარე ოთახი-საერთო ფართი 60 კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული 60 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო „უზუფრუქტი“) გადაეცეს 19-ე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გოჩა ენუქიძის ბიუროს (საიდენტიფიკაციო ნომერი-222938622) ფუნქციონირებისათვის, ბიუროს არსებობის ვადით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

